

**მისი უწმიდესობა პაპი ფრანცისკეს პრეს-კონფერენცია
თვითმფრინავში, აზერბაიჯანიდან რომში დაბრუნებისას**

პაპის რეისი

კვირა, 2 ოქტომბერი, 2016 წ.

საქართველოში ორმა რამემ გამაოცა. ერთი თავად საქართველოა. ვერც კი წარმოვიდგენდი ამხელა კულტურას, ამხელა რწმენას, ამხელა ქრისტიანობას. ეს მართლაც რომ მორწმუნე ხალხია, უძველესი ქრისტიანული კულტურის ხალხი, ამდენი წამებულის სამშობლო; და აღმოვაჩინე ის, რასაც არ ვიცნობდი – ის ღრმა ფესვები, საიდანაც მომდინარეობს ქართული რწმენა. მეორე საოცრება კი პატრიარქი გახლავთ. ეს ღმერთის კაცია. შემძრა ამ კაცმა. მასთან ყოველი შესვედრის შემდეგ გული მღელვარებით მევსებოდა და ვგრძნობდი, რომ ღმერთის კაცს შევხვდი. დიახ, სწორედ ღმერთის კაცს. იმაზე კი რაც გვყოფს თუ გვაერთიანებს, ერთ რამეს ვიტყვოდი: ნუ ვიდავებთ დოქტრინულ საკითხებზე. ეს საქმე თეოლოგებს მივანდოთ – ისინი ამას ჩვენზე უკეთ გააკეთებენ. დაე, იმსჯელობენ ამ საკითხებზე ორივე მხარის თეოლოგებმა – საამისოდ მათ არც მომზადება აკლიათ, არც სათნოება, არც კეთილი ნება. ჩვენ კი რაღა ვქნათ, ხალხმა? რა და, ვილოცოთ ერთმანეთისთვის. ლოცვა – აი, ესაა უმთავრესი რამ. და კიდევ, ერთად ვიღვაწოთ: უპოვარნი გვყავს? - ვიღვაწოთ უპოვართათვის. ესათუის გვიჭირს? შეგვიძლია ერთად შევებრძოლოთ ამ გასაჭირს? – მაშ, ერთად შევებრძოლოთ მას. მიგრანტები გვყავს? – ერთად ვიღონოთ რამე მათთვის. ერთად ვიღვაწოთ მოყვასისთვის – ამის გაკეთება ხომ შეგვიძლია? სწორედ ესაა ეკუმენიზმის გზა და არა მხოლოდღა დოქტრინული საკითხები – ეს სულ ბოლო საკითხია და აქამდეც მივალთ. მაგრამ, ჯერ ერთად სვლით დავიწყოთ, კეთილი ნებით - ეს მაინც ხომ შეგვიძლია! და ეს უნდა გავაკეთოთ. დღეს ეკუმენიზმი ერთად სიარულით უნდა აღვასრულოთ, ერთურთისათვის ლოცვით. თეოლოგებმა კი ერთმანეთში ისაუბრონ, ერთად გაერკვნენ საკითხებში. საქართველო კი მართლაც საოცრებაა – ამას ნამდვილად არ მოველოდი. ეს ქრისტიანი ერია – სულით ხორცამდე!

(პაპი ფრანცისკეს ინტერვიუ თვითმფრინავის ბორტზე, ბაქოდან რომში დაბრუნებისას, კვირა, 2 ოქტომბერი, 2016 წ.)